საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მდელოს მატკვარცანა

მდელოს მატკვარცანა

მდელოს მატკვარცანა (Lathirus pratensis), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა. აქვს 30–100 სმ სიგრძის აღმამდგომი ან მხოხავი ღერო, მარტივი ან დატოტვილი ულვაშით დაბოლოებული რთული ფოთლები და მტევნებად შეკრებილი კაშკაშა ყვითელი ყვავილები.

გავრცელებულია ევროპაში, მცირე, ცენტრ. და აღმ. აზიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდ. ამერიკაში, კავკასიაში, ციმბირსა და შუა აზიაში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება – მდელოებსა და ბუჩქნარებში, ყანებში, მთის შუა, იშვიათად ზედა სარტყელში. საქონლის საკვები მცენარეა.

ი. ლაჩაშვილი